სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში:

საკანონმდებლო პრაქტიკის ანალიზი

კავშირი „საფარი"

კავშირი „საფარი”

სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში:
საკანონმდებლო პრაქტიკის ანალიზი

თბილისი
2017

პუბლიკაცია მომზადებულია კავშირი „საფარის” მიერ ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს” ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას და შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Sapari / საფარი

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ავტორი:
ანა ილურიძე

ბეჭდვა: პოლიგრაფიული საწარმო **ფაუნტეინ ჯორჯია**

კავშირი „საფარი” – მისამართი: ქანთარიას 11/ა, 0160, თბილისი, საქართველო;
ტელეფონი: 032 2 307 603; ვებგვერდი: sapari.ge

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საფარის” წერილობითი ნებართვის გარეშე.

© 2017, კავშირი „საფარი”

სარჩევი

შესავალი: რა არის სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში? 4

სექსუალური შევიწროება და გენდერი 6

როგორ არის სექსუალური შევიწროება დაკავშირებული სქესის ნიშნით დისკრიმინაციასთან? 8

რატომ უნდა განისაზღვროს საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება დასჯად ქმედებად? 12

სექსუალური შევიწროების გამიჯვნა მოქმედების არეალის მიხედვით 13

კვლევის მეთოდი და მეთოდოლოგია 14

სექსუალური შევიწროების რეგულაცია საჯარო სივრცეში – კანონმდებლობა 18

ამერიკის შეერთებული შტატები 18
დიდი ბრიტანეთი 22
ევროკავშირის დირექტივები 23
ავსტრია 24
ბელგია 25
ბულგარეთი 25
კვიპროსი, დანია, გერმანია, ლატვია 25
ესტონეთი 26
ფინეთი 27
საფრანგეთი 27
საბერძნეთი 27
ისლანდია 28
ირლანდია 28
იტალია 29
ლიტვა 30
ჰოლანდია 30
რუსეთი 31
უკრაინა 31

დასკვნა: საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროებისას გასათვალისწინებელი თანხვედრები და ოპოზიციები 32

ბიბლიოგრაფია 35

მოდი, გამოვნახოთ დრო საჯარო სივრცეში გენდერულ შევიწროებაზე სალაპარაკოდ. მოდი, ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ განიცდის ამას თითოეული ქალი. მოდი, ვილაპარაკოთ, თუ რას გრძნობ შენ ამის შემდეგ. მოდი, ვილაპარაკოთ, მე რას ვგრძნობ მაშინ, როდესაც დაუცველი ვარ სახლში ან გაკვეთილებზე წასვლისას. მოდი, ვილაპარაკოთ, თუ რას განვიცდი მაშინ, როდესაც ჩემი სხეული იმ მამაკაცების მზერას ეკუთვნის, რომლებიც თითოეული ნაბიჯისას თვალებით მჭამენ. მოდი, ცვლილებებზე ვილაპარაკოთ. მოდი, ვილაპარაკოთ ამის დასრულებაზე. მოდი. ვილაპარაკოთ.

ტატიანა ფაზლალიზადე, 2015

შესავალი: რა არის სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში?

სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც გენდერული უთანასწორობის პირდაპირი პროდუქტია. ყოველდღიურად, თითქმის ყველა ქალი ხდება რაიმე ფორმით სექსუალური შევიწროების მსხვერპლი. ყველაზე დიდი პრობლემა ამ ქმედებაში არის ის, რომ მისი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰეტერონორმატიულ კულტურაში გაუბრალოებული და ნორმალიზებულია.

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება გულისხმობს ადამიანთან არასასურველ ნებისმიერი სახის ინტერაქციას, რომელიც გამოწვეულია მისი გენდერული იდენტობით (ან ნაგულისხმევი გენდერული იდენტობით), სექსუალური ორიენტაციით ან გენდერული თვითგამოხატვით და მიზნად ისახავს ან იწვევს მსხვერპლის გაბრაზებას, შეწუხებას, შეშინებას, დამცირებას[1] ან/და იწვევს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი, ძალადობრივი ან/და მტრული გარემოს შექმნას. თვითონ ქმედება, რომელიც წარმოადგენს საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროებას, შეიძლება იყოს:

- დასტვენა ან დასიგნალება;
- სექსუალური ხასიათის ფრაზების მიძახება;

1. ეს განმარტება წარმოადგენს კერლის 2014 წლის 'საჯარო სივრცეში შევიწროების ეროვნულ ანგარიშში' მოყვანილი განმარტების მოდიფიცირებულ ვარიანტს, რომელიც უფრო მეტად არის მორგებული ქართულ რეალობაზე. (Kearl, 2014). ორიგინალ ვერსიაში აუცილებელია, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება ან შევიწროებისაკენ მიმართული ინტერაქციის ინიციატორი უცხო ადამიანი იყოს, რაც ჩემი აზრით არ იმუშავებს ქართულ რეალობაში. ამ საკითხს კანონმდებლობაში არსებული ოპოზიციების ანალიზისას უფრო დეტალურად განვიხილავ.

- სახელის ან/და საკონტაქტო ინფორმაციის დაჟინებით მოთხოვნა მას შემდეგ, რაც ადამიანმა გარკვევით თქვა უარი, ან იგნორირება გაუწია ამ მოთხოვნას;
- სექსისტური კომენტარები;
- შემფასებლური კომენტარები;
- ჰომოფობიური ან ტრანსფობიური კომენტარები;
- ვულგარული ჟესტები;
- გენიტალების ჩვენება ან მასტურბაცია საჯარო სივრცეში;
- არასასურველი შეხება ან ხახუნი;
- სექსუალური ძალადობა;
- სხვა ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მსხვერპლის გაბრაზებას, შეწუხებას, შეშინებას, დამცირებას ან/და შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი, ძალადობრივი ან/და მტრული გარემოს შექმნას და კავშირშია სექსუალობასთან.

საჯარო სივრცეში ამგვარი ქმედების შედეგი შეიძლება სექსუალური ძალადობის უმძიმესი ფორმებიც კი იყოს, მაგრამ უფრო ხშირად, სექსუალური შევიწროება მსხვერპლის გრძნობების, ფიქრების და განზრახვის წინააღმდეგ არის მიმართული მისი პირდაპირი ან არაპირდაპირი შედეგია მსხვერპლის საჯარო სივრცეში მონაწილეობის ფორმის ან/და სიხშირის შეცვლა. ამასთან, თვითონ საჯარო სივრცე სამოქალაქო მონაწილეობისათვის ნაკლებად მიმზიდველი ხდება, რაც ძალადობრივ გარემოს აღვივებს და საჯარო სივრცის დეპოლიტიზაციას და მის კრიმინალურ დისკურსში გადაყვანას უწყობს ხელს.

საქართველოში სექსუალური შევიწროება რეგულირების მიღმაა დარჩენილი როგორც საჯარო სივრცეში, ასევე სამუშაო ადგილას, სერვისის მიწოდების დროს ან განათლების მიღების დროს (ამაშუკელი და სხვები, 2015). მიუხედავად იმისა, რომ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ შემუშავებულ საქართველოს სოციალური და გენდერული ინტეგრაციის 2014/16 წლის გეგმის მიხედვით სექსუალური შევიწროების რეგულაციისთვის გადასადგმელი ნაბიჯები სამოქმედო გეგმაში საკმაო მოცულობით არის გაწერილი (MCA-Georgia, 2013).

ეს კვლევა ეხება მხოლოდ საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროების რეგულირების იმ ასპექტებს, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო პრაქტიკაზე დაკვირვებით იკვეთება. განსხვავებული კანონმდებლობა საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროებას სხვადასხვაგვარად არეგულირებს ან საერთოდ რეგულირების მიღმა ტოვებს. თუმცა სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილას/სერვისის მიწოდების დროს უფრო ფართოდაა რეგულირებული, კერძოდ, იგი

რეგულირებულია ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანაში, თურქეთში, ისლანდიასა და შვეიცარიაში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია იმის კველვა, თუ როგორ არის დარეგულირებული საზოგადოებრივ სივრცეში სექსუალური შევიწროება საკანონმდებლო დონეზე სხვადასხვა ქვეყანაში და ასევე ნიადაგის მომზადება ქართული კანონმდებლობით საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების რეგულირებისთვის. კვლევა არ ეხება საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების გამომწვევ მიზეზებს და ასევე არ მიმოიხილავს იმ პრაქტიკას, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყოს ამ ქმედების წინააღმდეგ ბრძოლისათვის (კანონმდებლობის გარდა), ვინაიდან ეს ცდება ამ კონკრეტული კვლევის მიზანს, თუმცა, ამ საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია ამ შეკითხვებს ადგილობრივ კონტექსტში გენდერული დამოკიდებულებების შესწავლის შედეგად გაეცეს პასუხი.

ამ მიზნის მისაღწევად განვსაზღვრავ თუ რა დამოკიდებულება აქვს სექსუალურ შევიწროებას საჯარო სივრცეში გენდერთან და სქესის ნიშნით დისკრიმინაციასთან, განვიხილავ სექსუალური შევიწროებას როგორც ქმედებას მოქმედების არეალის მიხედვით და მოკლედ აღვწერ, თუ რა სიკეთეს მოუტანს სახელმწიფოს და საზოგადოებას საჯარო სივრცეში ამ ქმედების რეგულირება. შემდეგ განვიხილავ ნაწყვეტებს იმ ქვეყნების კანონმდებლობებიდან რომელთაც რეგულირებული აქვთ ეს სფერო ან სხვა ნიშნის გამო საინტერესოა საქართველოს კონტექსტში მათი მაგალითის განხილვა. საბოლოოდ, ვაანალიზებ იმ ოპოზიციურ და თანმხვედრ მოცემულობებს, რომელიც კანონმდებლობის განხილვის შედეგად ზედაპირზე ამოდის და მათი გათვალისწინება აუცილებლად მიმაჩნია საქართველოს კანონმდებლობაში სექსუალური შევიწროების რეგულირების მცდელობისათვის.

სექსუალური შევიწროება და გენდერი

ანთროპოლოგი მიქაელა დი ლეონარდო, 1981 წელს „სექსუალური შევიწროების პოლიტიკურ ეკონომიაში“, საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროებას აღწერს, როგორც ქმედებას, რომელსაც ადგილი აქვს „მაშინ, როდესაც ერთი ან მეტი უცხო მამაკაცი უახლოვდება ერთ ან მეტს ქალს (...) იმ სივრცეში, რომელიც ამ ქალის სამუშაო ადგილს არ წარმოადგენს. მზერის, სიტყვების ან ჟესტების საშუალებით, კა-

ცი ამტკიცებს თავის უფლებას, მიიქციოს ქალის ყურადღება, მას სექსუალურ ობიექტად განიხილავს და ქალს ინტერაქციას აიძულებს".

ზოგადად, თითქმის ყველა მკვლევარი, რომელიც საჯარო სივრცეში „ფემინისტური სამართლიანობის" (Bowman, 1993) პოლიტიკური მიზნის მისაღწევად იღვწის, სექსუალურ შევიწროებას ცალსახად ქალთა მიმართ ჩადენილ ქმედებად აღწერს და მთლიანად ჰეტერონორმატიულ საზოგადოებში ქალთა მიმართ გენდერული ჩაგვრის ერთ-ერთ გამოვლინებად მიიჩნევს (Di Leonardo, 1981; Bowman, 1993; Fairchild, Rudman, 2008; Madan, Nalla, 2016) ამგვარი მიდგომის შედეგია ისიც, რომ არსებობს კანონმდებლობები, რომელიც სექსუალურ შევიწროების გენდერულად განსაზღვრულ დეფინიციას იძლევა.

ქალთა სექსუალური შევწიროების ზრდა ურბანულ საზოგადოებაში (Cooper, 2007) პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზეც, რომ ქალთა საჯარო მონაწილეობა (დასაქმება და სხვა აქტივობა ოჯახის გარეთ) დროის მცირე მონაკვეთში რეკორდულად გაიზარდა. მას ფეხი ვერ აუწყო სახელმწიფოს საკანონმდებლო სისტემამ, რომელიც თუ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში არ განიხილავს ქალებს, როგორც გენდერულ ჯგუფს, არ ზრუნავს ან იგნორირებას უკეთებს იმ პრობლემას, რომელსაც ქალები საზოგადოებაში აწყდებიან. სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი მოპყრობის ბევრი სხვადასხვა მაგალითი არსებობს, მაგალითად, როდესაც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოები გენდერული კვოტების შემოღებით ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის პოლიტიკურ ნებას არ გამოხატავენ, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ღიად ეწინააღმდეგება სპეციალური დანაყოფის შექმნას, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობაზე იმუშავებს და მიმართული იქნება ფემიციდის გახშირებულ შემთხვევებთან ბრძოლისკენ და ა.შ.

როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს კანონმდებლობა სექსუალურ შევიწროებას არ აღიარებს, როგორც კანონსაწინააღმდეგო ქმედებას და სამწუხაროდ, ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება კანონმდებლობით მოწესრიგებისათვის საკმარისად სერიოზულად არ მიიჩნევს ისეთ გადაცდომას, რომელსაც ყოველდღე თითქმის ყველა ქალი ეჩეხება. მიუხედავად იმისა, ქალები აცნობიერებენ თუ არა, რომ საქმე აქვთ სექსუალური შევიწროებასთან (Magley et al., 1999), სექსუალურ შევიწროებას ნეგატიური ფსიქოლოგიური შედეგები აქვს (Schneider et al., 1997). სექსუალური შევიწროება გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობასა და მის პოლიტიკურ და სოციალურ ჩართულობაზე, რაც რამდენადმე მძიმდება ქალების შემთხვევაში,

როდესაც საქმე ეხება მათ აღქმას მხოლოდ სექსუალურ ობიექტად. ეს პირდაპირ შეიძლება უკავშირებოდეს დეპრესიას (Harrison & Fredrickson, 2003; Tiggemann & Kuring, 2004). აქედან გამომდინარე, ადამიანები, რომლებიც სექსუალურ შევიწროებას განიცდიან, საჯარო სივრცეში ვერ მონაწილეობენ. სინტია ბოუმანის (1993) აზრით, გარდა იმისა, რომ სექსუალური შევიწროება ქალების ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე ახდენს ნეგატიურ გავლენას, ეს ქმედება აღემატება თმენის ვალდებულებას, რომელიც ადამიანს საზოგადოებაში ცხოვრების გამო ეკისრება და კანონსაწინააღმდეგო ქმედების ზღვარს აღწევს, რადგან ის არა მარტო ქალებზე, როგორც გენდერულ ჯგუფზე ახდენს ნეგატიურ გავლენას, არამედ ნეგატიურად მოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების ხარისხზე და მთლიანად საზოგადოებაზე.

აუცილებელია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, კერძოდ კი მის მე-13 თავს, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს არეგულირებს, დაემატოს მუხლი საჯარო **სივრცეში სექსუალური შევიწროების** შესახებ, ვინაიდან იგი პირდაპირ კავშირშია საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში, საჯარო სივრცეში მოქალაქეთა თავისუფალ ჩართულობასა და დაცულობასთან, რისი რეგულირებაც აღნიშნული სამართლებრივი აქტის პირველადი ამოცანაა (მუხლი 1).

როგორ არის სექსუალური შევიწროება დაკავშირებული სქესის ნიშნით დისკრიმინაციასთან?

ევროკავშირის სამართალში სექსუალური შევიწროება მხოლოდ იმ დირექტივებით არის რეგულირებული, რომელიც სქესის ნიშნით დისკრიმინაციას ეხება[2]. ამ კავშირის დანახვის შემდეგ დავინტერესდი, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სექსუალური შევიწროება პირდაპირ სქე-

2. საქმე ეხება დირექტივას 2002/73/EC რომელმაც ცვლილება შეიტანა 'თანაბარი მოპყობის შესახებ' დირექტივაში და დაამატა სქესის ნიშნით შევიწროება და სექსუალური შევიწროება როგორც 'დისკრიმინაცია'. ეს დირექტივა ჩაანაცვლა 2006/54EC დირექტივამ რომელმაც გაფართოვა მისი მოქმედების არეალი და მოიცვა არა მარტო შევიწროება სამუშაო ადგილზე არამედ სამუშაოსადმი ხელმისაწვდომობის დროს, სავალდებულო ტრენინგის და დაწინაურებისას.

სის ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა? თუ შესაძლებელია, ეს დანაშაული უფრო ფართო კონტექსტის მატარებელი იყოს?

მართალია, რომ თავიდან სექსუალური შევიწროება, როგორც ასეთი, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის სფეროში ჩამოყალიბდა, და მხოლოდ ამ კონტექსტში იყო გამოყენებული. შეიძლება გავიხსენოთ ამერიკელი ფემინისტი, კეტრინ მაკკინონი, რომელიც ამტკიცებს, რომ სექსუალური შევიწროება სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთი სახეა ეს მის განმარტებაში უნდა იყოს მითითებული. შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ თავიდანვე დაადგინა, რომ სექსუალური შევიწროება იყო სქესის ნიშნით დისკრიმინაციის „ქმედითი„ ვარიანტი. თავდაპირველად, იგი მხოლოდ quid pro quo[3] სიტუაციებს მოიცავდა, მაგრამ ადრეულ ოთხმოციანებშივე, დისკრიმინაციის განმარტებას მტრული გარემოს შექმნის ცნება დაემატა. ევროკავშირის კომისიის Code of Practice-იდან კი ნათელია, რომ სექსუალური შევიწროების კონცეპტი სქესთან დაკავშირებულ შევიწროებას მოიცავს: „სექსუალური შევიწროება გულისხმობს არასასურველ სექსუალური ხასიათის ქმედებას ან სქესის გამო ჩადენილ ნებისმიერ სხვა ქმედებას...". ამასთან, ამავე Code of Practice-ის შესავალში დადგენილია, რომ სექსუალური შევიწროება მოიცავს ერთი და იმავე სქესის ადამიანების მიერ ერთმანეთის შევიწროებასაც. ეს არის დადგენილი შტატების სამართლითაც, ცნობილი ქეისის Oncale v Sundowner Offshore Services[4]-ის საშუალებით (INC. (96-568).

გვაქვს ორი განსხვავებული კონცეპტი – სქესთან დაკავშირებული შევიწროება და სექსუალური შევიწროება. ხშირად ამბობენ, რომ სექსუალური შევიწროება შეიძლება არც იყოს სქესთან (როგორც მადისკრიმინირებელ ნიშანთან) კავშირში, მაგრამ მოიცავდეს სექსუალური ქმედების აკრძალვას. კლარკი (Clarke 2007, p. 83) ამბობს, რომ ევროკავშირის „თანაბარი მოპყრობის შესახებ დირექტივის" მიხედვით, სექსუალური შევიწროება აუცილებლად რაიმე ნიშნით კავშირში უნდა იყოს მსხვერპლის სქესთან. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის ორი დირექტივიდან პირდაპირ არც ერთი არ მიანიშნებს დეფინიციით, რომ

3. Quad pro quo სექსუალური შევიწროების კონტექსტში მხოლოდ სამუშაო ადგილას სექსუალური შევიწროების რეგულირებისას გვხვდება და გულისხმობს თანამშრომლისთვის რაიმე ხელშეწყობის ან უპირატესობის მიცემას ან შეთავაზებას სექსუალური ქმედების სანაცვლოდ.

4. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ, 1998 წელს იმსჯელა საქმეზე Oncale v Sundowner Offshore Services და დაადგინა, რომ სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროება შესაძლებელია მაშინაც, როდესაც შემვიწროებელი და შევიწროების მსხვერპლი ერთი და იმავე სქესის ადამიანები არიან.

სექსუალური შევიწროება სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ თვითონ ამ დირექტივების კონტექსტი აკავშირებს ამ ქმედებას სქესის ნიშნით დისკრიმინაციასთან.

მეორე მხრივ, შეიძლება მსჯელობა, რომ მიუხედავად მისი ახლანდელი რეგულირების თავისებურებისა, სექსუალური შევიწროება შეიძლება მომავალში სექსის ნიშნით დისკრიმინაციას გასცდეს და შესაძლოა ნებისმიერი არასასურველი სექსუალური ქცევა, რომელიც გამოწვეული იქნება არა პირის სქესის, არამედ მისი ეთნიკური წარმომავლობის, შეზღუდული შესაძლებლობის და ა.შ. მოექცეს სექსუალური შევიწროების რეგულირების ქვეშ. ეს შეიძლება იყოს ზოგადად „შევიწროების" უფრო ფართო კონტექსტში დარეგულირებული ან სექსუალურ შევიწროებას შეიძლება მივუსადაგოთ უფრო კომპლექსური დისკრიმინაციის საფუძვლები (რადგან ქმედება მაინც სექსუალური ხასიათისაა და სპეციფიკური რეგულაცია სჭირდება).

სექსუალური შევიწროება, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა, ევროკავშირის სამართალში აღნიშნულია დირექტივაში „რასის შესახებ„ (Race Directive) 2000/43/EC და ჩარჩო-დირექტივაში (Framework Directive) 2000/78/EC. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართალი დირექტივაში მოცემულ სტრუქტურას ერთხმად არ იზიარებს.

იმპლემენტაციის ინსტრუმენტების გათვალისწინებით, სექსუალური შევიწროება ყველაზე ხშირად კონცეპტუალიზებულია, როგორც სქესის ნიშნით დისკრიმინაცია **(ავსტრია, ბელგია, კვიპროსი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საბერძნეთი, ისლანდია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, იტალია, მალტა, ნორვეგია, სლოვენია და ესპანეთი)** და ეს არის იმის შედეგიც, რომ ამ ქვეყნებში სექსუალური შევიწროება უპირატესად დარეგულირებულია კანონით სქესთა თანასწორობის შესახებ. საკმაოდ ბევრ ევროპულ ქვეყანაში, სამაგიეროდ, სექსუალური შევიწროება არ არის რეგულირებული სქესთა თანასწორობის შესახებ კანონით **(ჩეხეთი, გერმანია, უნგრეთი, ირლანდია, ლატვია, ჰოლანდია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკია, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი).** სამწუხაროდ, სექსუალური შევიწროების ამ სახით კონცეპტუალიზაცია ამ ქვეყნებში უფრო სამართლებრივი ფორმალობის შედეგია და არ არსებობს რაიმე ანგარიში იმ საქმეების შესახებ, რომელიც მიემართება ამ კანონის გამოყენებას სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გარეთ (Numhausser-Henning, Laulom, 2012)

შვედურ მაგალითში, 2008 წლის დისკრიმინაციის აქტი შევიწროებას

განსაზღვრავს (თავი 1 4(3)), როგორც „ქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს პიროვნების ღირსებას და დაკავშირებულია დისკრიმინიაციის რომელიმე საფუძველთან". ხოლო სექსუალური შევიწროების განმარტება მოცემულია მე-4 თავში (4,4) და ამგვარად იკითხება: „სექსუალური ხასიათის ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს პირის ღირსებას და არ არის შეზღუდული ან პირდაპირ დაკავშირებული დისკრიმინაციის რომელიმე საფუძველთან". ასევე, დისკრიმინაციის აქტის ყველაზე ავტორიტეტულ კომენტარში ნათლადაა აღწერილი, რომ „არ არის საჭირო (ნაგულისხმევი), რომ სექსუალური შევიწროება ეხებოდეს დისკრიმინაციის რომელიმე საფუძველს, არამედ ესაა ისეთი ხასიათის ქმედება, რომელსაც კავშირი უნდა ჰქონდეს სექსუალობასთან". მიუხედავად იმისა, რომ შვედეთში წარმოებული დისკრიმინაციის საქმეები და პრაქტიკა ძირითადად სქესის ნიშნით დისკრიმინაციას ეხება, ეს კანონი ერთადერთია, რომელიც განგებ არ აზუსტებს დისკრიმინაციის საფუძველს და შეუძლია განიხილოს საქმეები, დისკრიმინაციის მრავალი საფუძვლით (ibid).

ჰოლანდიაში, სექსუალური შევიწროება (სამუშაო ადგილას) დარეგულირებულია თანაბარი მოპყრობის შესახებ ზოგადი კანონის 2004 წლის შესწორების შედეგად, 2004/113 დირექტივის იმპლემენტაციის შემდეგ. ეს შესწორება სქესის გარდა კიდევ დისკრიმინაციის რამდენიმე საფუძველს ფარავს და კანონის გამოყენების არეალს აფართოებს. თუმცა, პრაქტიკაში არც აქ გვხდება ფართო გამოყენება და ამგვარი ჩანაწერი კანონში უფრო „შემთხვევითია", ვიდრე განზრახ გაკეთებული, შვედეთის მაგალითისგან განსხვავებით (ibid).

უნგრეთში არ არსებობს სექსუალური შევიწროების დამოუკიდებელი სამართლებრივი განმარტება და აქედან გამომდინარე, იგი დისკრიმინაციის არც ერთ საფუძველს არ მიეწერება. სექსუალური შევიწროება ინტეგრირებულია შევიწროების ზოგად განმარტებაში, რომელიც ნებისმიერი საფუძვლით დისკრიმინაციისას გამოიყენება.

საუკეთესო შემთხვევაში, ჩემი აზრით, აუცილებელია შევიწროების აქტის ინტერსექციურად გაანალიზება. დიდი ალბათობით, ვთქვათ, ეთნიკური წარმომავლობის გამო მოწყვლადი ადამიანი ასევე შეიძლება იყოს სქესის ნიშნით შევიწროების მსხვერპლიც. ხოლო შევიწროება იქნება სექსუალური შევიწროება მას შემდეგ, რაც დადგინდება ქმედების კავშირი არა დისკრიმინაციის რომელიმე საფუძველთან, არამედ სექსუალობასთან.

რატომ უნდა განისაზღვროს საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება დასჯად ქმედებად?

კანონმდებლობით, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების რეგულირებას რამდენიმე შედეგი ექნება, რომელიც ქალთა საჯარო სივრცეში მონაწილეობას და ზოგადად საჯარო სივრცის უსაფრთხოებას გაზრდის. კერძოდ:

- ამაღლდება ცნობიერება სექსუალურ შევიწროებაზე და ადამიანებს უკეთესად შეეძლებათ სექსუალური შევიწროების, როგორც მადისკრიმინირებელი ქმედების გამოვლენა;
- სამართალდამცავ სტრუქტურებს გაუადვილდებათ კანონის გამოყენება, როდესაც სახეზეა აშკარა სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში, რაც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და პირის ხელშეუხებლობას, და ასევე, მსხვერპლს აყენებს დისკრიმინირებულ მდგომარეობაში;
- გვექნება საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების/ქმედების უკეთესი სტატისტიკა და მესამე სექტორის ორგანიზაციები სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად უკეთ იმუშავებენ;
- სახალხო დამცველის აპარატი და არასამთავრობო ორგანიზაციები უკეთესად იქნებიან ჩართულნი სექსუალური შევიწროების კონკრეტული ქეისის გამოძიებისას და მსხვერპლის მიმართ მიყენებული ზიანის ან შესაძლოს ზიანის დადგენა-აღმოფხვრისას.

ამასთან, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება უნდა იყოს ადამიანის უფლებადამცველთა ყურადღების სფეროში შემავალი ერთ-ერთი ქმედება, რომელიც რეგულირებას საჭიროებს, ვინაიდან ის გავლენას ახდენს ადამიანების ჩართულობაზე საჯარო სივრცეში, შეიძლება გამოიწვიოს მათი ქცევის მოდელის ძირეული ცვლილება, რაც საბოლოო ჯამში შევიწროებისადმი უფრო მოწყვლად ჯგუფებს საზოგადოებრივი სივრცისგან და რესურსებისაგან მთლიანად გარიყავს.

სექსუალური შევიწროების გამიჯვნა მოქმედების არეალის მიხედვით

სექსუალური შევიწროება შეიძლება ხდებოდეს როგორც საჯარო სივრცეში, ასევე სამუშაო ადგილას/სერვისის მიწოდების დროს. ეს ორი, ერთმანეთთან კონცეპტუალურად დაკავშირებული არა-სამართლებრივი ქმედებაა, რომელსაც განსხვავებული მდგენელები, წინაპირობა, ჩადენის მოტივი, მატერიალური და არამატერიალური შედეგები გააჩნია. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ ერთი სივრცის რეგულაცია მეორე სივრცეში ვერ აღწევს და პრობლემა გადაუჭრელი რჩება. ამიტომ, საჭიროა ამ ორი კონცეპტის ერთმანეთისგან გამიჯვნა და თანაბრად დარეგულირება.

ზოგადად, როდესაც სექსუალურ შევიწროებას განიხილავენ, გულისხმობენ სექსუალურ შევიწროებას სამუშაო ადგილზე ან სერვისის მიწოდების დროს, per se (Wilson & Thompson, 2001), მიუხედავად იმისა, რომ თვითონ სექსუალური შევიწროების კონცეპტის კვლევა ფემინისტებმა ბევრად ადრე დაიწყეს. სექსუალური შევიწროება, როგორც სოციოლოგიური და სამართლებრივი კონცეპტი, ფემინისტურ დღის წესრიგში კეტრინ მაკკინონის დამსახურებით 1970-იანი წლებიდან გაჩნდა (MacKinnon, 1979) და სწრაფად იქცა ინდუსტრიალიზებულ საზოგადოებაში თანასწორობის მიღწევისათვის აუცილებელ ერთ-ერთი მთავარ წინაპირობად (Pringle, 1989).

არსებობს მიზეზები, მაგალითად ძალთა განაწილება სამუშაო ადგილას და ზოგადად სამუშაო ადგილას არსებული აფექტური სივრცე, რომელიც ქალთა სხეულებს ძირითადად სექსუალიზებული ხასიათის გარკვეულ ვალდებულებებს და მოთხოვნებს „აწებებს". ამის გამო, სამუშაო ადგილას/სერვისის მიწოდების დროს სექსუალური შევიწროება, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროებისგან განსხვავებით, შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც გაცილებით „განჭვრეტადი" და აქედან გამომდინარე, „რეგულირებადი" საფრთხე, თუნდაც იმიტომ, რომ სამუშაო სივრცეში ამ პრობლემასთან საბრძოლველად დამატებითი რეგულაციის ინსტრუმენტების სახით (ქცევის კოდექსი და ა.შ.), დამატებითი ბიუროკრატიული მექანიზმები არსებობს. თუმცა, იმის მტკიცება, რომ რომელიმე ამ ქმედების რეგულირება საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის მეტად მნიშვნელოვანია, მიზანშეწონილი არ არის და თუ დღეს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ძალიან

მწირი რეგულაცია გვაქვს, ეს ფაქტი თავისთავად რამდენიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს:

1. ქალთა არათანაბარი მონაწილეობა საჯარო სივრცეში არის უხილავი პრობლემა;
2. ქალთა არათანაბარი მონაწილეობა საჯარო სივრცეში არის ინსტსიტუციონალიზებული და ნორმალიზებული პრობლემა;
3. ქალთა არათანაბარი მონაწილეობა საჯარო სივრცეში არის ინტერნალიზებული პრობლემა. საჯარო სივრცეში ქალთა არათანაბარი მონაწილეობის შედეგები არ არის გააზრებული და კრიტიკულად გაანალიზებული თვითონ ქალთა უფლებებზე მომუშავე ადამიანების, თეორიტიკოსების, აქტივისტების და კანონმდებლების მიერ.

კვლევის მეთოდი და მეთოდოლოგია

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების შესახებ კვლევები და აკადემიური სტატიები ზოგადად ძალზე მწირია. ეს პრობლემა ერთი-ორად თვალშისაცემია, როდესაც საქმე ეხება ლიტერატურას, რომელიც სექსუალურ შევიწროებას სპეციფიკურად, საქართველოს კონტექსტში განიხილავს.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია კანონპროექტი, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ორი მუხლის დამატებას ითვალისწინებდა, რომელიც სექსუალურ შევიწროებას დარეგულირდებოდა როგორც საჯარო სივრცეში, ასევე შრომითი ურთიერთობისას, თუმცა ამ კანონმა საპარლამენტი წინააღმდეგობა ვერ გადალახა.

ასევე, აღსანიშნავია ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ 2014 წლის სექტემბერ-ნოემბერში ჩატარებული კვლევა, რომელიც საზოგადოებრივ ტრანსპორტში, კერძოდ, თბილისის მეტროში სექსუალური შევიწროების პრაქტიკის კვლევას ეხება. კვლევის თანახმად, მეტროს მგზავრთა 45%-ს განუცდია სექსუალური შევიწროება, ხოლო 200 გამოკითხულიდან 90-ს სექსუალური შევიწროების რამდენიმე ფორმა განუცდია. ასევე, საინტერესო შენიშვნას აკეთებს კვლევა სექსუალური შევიწროების დროს დახმარების თაობაზე. კვლევის მიხედვით, რეპონდენტთა 85.5%-ს არავინ დახმარებია მაშინ, როდესაც მეტროში სექსუალურ შევიწროებას განიცდიდნენ და არც ერთ რეს-

პონდენტს პოლიციისათვის არ მიუმართავს. კვლევის გამოყენების შეზღუდვა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მხოლოდ ქალებს ეხება და არანაირ სურათს არ გვაძლევს სხვა გენდერული იდენტობის მქონე ადამიანების სექსუალური შევიწროების პრაქტიკის შესახებ.

ქალთა ფონდის მიერ გამოქვეყნებული კვლევის ანგარიში „სექსუალური შევიწროება – ქალთა „უჩინარი" დისკრიმინაცია" (ამაშუკელი და სხვები, 2015) სიღრმისეულად განიხილავს როგორც სამუშაო ადგილზე, ასევე საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროებას და იმ თეორიულ საკითხებს, რომელიც შევიწროების ამ ორ სახეს ეხება. კვლევა ასევე საინტერესოა იმით, რომ დეტალურად მიმოიხილავს საქართველოს კანონმდებლობას, რომელიც ირიბად მაინც არეგულირებს ან შესაძლოა არეგულირებდეს საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროებას. ასევე, საინტერესოა ის მონაცემები, რომელიც სტუდენტ ქალებთან მათ მიერ ჩატარებულმა თვისობრივმა კვლევამ აჩვენა. კერძოდ, „რესპონდენტებს, დამოუკიდებლად მათი პირადი გამოცდილებისგან, საკმაოდ კარგად ესმით სექსუალური შევიწროების სოციალური და კულტურული ფენომენის მნიშვნელობა". ვინაიდან კვლევა სტუდენტებს შორის ჩატარდა, აუცილებელია ამ კვლევის წარმომადგენლობითობაზე მსჯელობაც, რადგან, სავარაუდოდ, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების იდენტიფიკაცია სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული პრობლემის ნაწილია. ამ პრობლემის გადასაჭრელად, აუცილებელია ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული კამპანიების ჩატარება, რომლის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) კომპონენტიც შეიძლება იყოს ქმედების სამართლებრივი რეგულირების მოთხოვნა.

ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას მაძლევს ასევე 2014 წელს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ გამოქვეყნებული კვლევის ანგარიში, რომელიც სამუშაო ადგილას სექსუალურ შევიწროებას ეხება. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა არ ფარავს საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროებას, ჩემი აზრით, პარალელის გავლება შეიძლება იმ შედეგებს შორის, რომელიც სექსუალური შევიწროების იდენტიფიკაციას ეხება. კერძოდ, საქართველოს დასაქმებული მოსახლეობის 95,8% აცხადებს, რომ დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროება არ გამოუცდია. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ამგვარი პასუხი განპირობებულია იმით, რომ გამოკითხულთა უმეტესობამ უბრალოდ არაფერი იცის ამ მოვლენის შესახებ. ამას ადასტურებს სექსუალური ხასიათის მქონე ქმედების შესახებ შემდგომ ჩაღრმავებულ კითხვებზე მიღებული პასუხები. კერძოდ, გამოკითხულთა 50%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ მსგავსი სახის ქმედების მიმართ უარყოფითი რეაქ-

ცია ექნებოდა. ასევე, საინტერესოა იმის ხაზგასმაც, რომ გამოკითხულ დასაქმებულთა 89%-მა განაცხადა, რომ თუ სექსუალური შევიწროების მსხვერპლი გახდება, ამის შესახებ არ შეატყობინებს უფროსს, ხოლო 97% არ შეატყობინებს პოლიციას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით სექსუალური შევიწროება არ რეგულირდება, აუცილებელია ვახსენოთ, რომ ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და პრევენციის შესახებ, ე.წ. „სტამბოლის კონვენცია", საქართველოს მიერ უკვე ხელმოწერილია. კონვენციის სარატიფიკაციო პაკეტი საქართველოს კანონმდებლობაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის კუთხით არსებული ხარვეზების გამოსწორებას ითვალისწინებს, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ძალადობასთან დაკავშირებული ნორმების მოქმედების სფერო ფართოვდება და ის არა მარტო ოჯახში ძალადობას, არამედ საზოგადოებაში ქალთა მიმართ გამოვლენილ ძალადობასაც შეეხება, რომელიც ძირითადად საზოგადოებაში არსებული გენდერული როლების განაწილებით არის განპირობებუილი და ხშირად კულტურული და ტრადიციული „ღირებულებებით" არის გამართლებული. რატიფიცირების შემდეგ, ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი ქმედებების რეგულირების მექანიზმები:

- ოჯახური ძალადობა (ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობა)
- აკვიატებული დევნა/გადაკიდება (stalking);
- სექსუალური ძალადობა, გაუპატიურების ჩათვლით;
- სქესობრივი შევიწროება;
- იძულებითი ქორწინება;
- ქალთა გენიტალიების დასახიჩრება, იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია.

ნათელია, რომ სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ ქალთა მიმართ საზოგადოებაში/საჯარო სივრცეში ძალადობის ის ფორმები დარეგულირდება, რომელიც თავისი შინაარსით ძალიან ახლოს დგას საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროებასთან. ეს კი, თავისთავად, ამ ქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შესახებ ცნობიერების ამაღლების და სექსუალური შევიწროების მაქსიმალურად ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალება იქნება.

ასევე, ამავე კველვაში უნდა ვახსენო ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის 340–ე მუხლი, რომელიც კანონსაწინააღმდეგო ქმედებად გამოაცხადებს საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლური სასმელების სმას ან ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება (მათ შორის სექსუალური ხასიათის ქმედებაც). მიუხედავად იმისა, რომ მუხლმა შეიძლება ნაწილობრივ მოიცვას ის ქმედებები, რომელიც საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების კონცეპტის ქვეშ მოიაზრება, რამდენიმე მიზეზის გამო, რომელზეც უფრო ვრცლად ვისაუბრებ, პრობლემური იქნება მხოლოდ ამ მუხლით ამ ქმედების რეგულირება. პირველ ყოვლისა, მუხლი, რომელიც მხოლოდ ირიბად ეხება საზოგადოებრივ სივრცეში სექსუალურ შევიწროებას, ვერ დაარეგულირებს ამ ქმედების გამოვლინების ყველა იმ ფორმას, რომელზეც პირველ თავში ვისაუბრე, რადგან რთული იქნება ქმედების ამ მუხლით იდენტიფიცირება და იგი უფრო სახელმწიფოს მიერ პროაქტიურ ქმედებაზე იქნება ორიენტირებული (მაგალითად, საპატრულო პოლიციის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე, საკუთარი ინიციატივის შემთხვევაში) და არ იქნება საზოგადოებაში მიღებული სექსუალური შევიწროებისა და გენდერული ჩაგვრის პრაქტიკისგან გამათავისუფლებელი მექანიზმი. პრობლემაა ისიც, რომ ქმედება ითვალისწინებს განზრახვას, მაშინ როდესაც საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების რეგულირება არ უნდა საჭიროებდეს მსხვერპლის მიერ შემვიწროებლის განზრახვის მტკიცებას, რადგან ეს დანაშაულის დადგენას და მასზე ეფექტურ რეაგირებას ერთიორად ართულებს. ამასთან, პრობლემაა ისიც, რომ „საზოგადოებრივი ადგილის“ განმარტება არც ამ მუხლშია მოცემული და არც სხვა კანონმდებლობაში. გაუგებარია, ზუსტად რას ნიშნავს „საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესების აშკარა უპატივცემულობა და ადამიანისთვის დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნა, მათ შორის სექსუალური ხასიათის ქცევა“ და რამდენად ფართოდ (ან ვიწროდ) ესმით ამ სიტყვების მნიშვნელობა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში (ვინტერი, პავლინი, 2016).

იმისათვის, რომ მენახა, თუ როგორ რეგულირდებოდა საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება, მე განვიხილე როგორც სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის ის მუხლები, რომელიც პირდაპირ არეგულირებს ამ ქმედებას, ასევე ის მუხლებიც, რომელიც საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ერთ რომელიმე ფორ-

მას არეგულირებს. ამგვარი მეთოდოლოგიური გადაწყვეტილება განპირობებული იყო იმით, რომ ხშირად, ქვეყნები ამ ქმედებას რეგულაციის მიღმა ტოვებენ და მხოლოდ მის უკიდურეს და ძალადობრივ გამოვლინებას – გაუპატიურებას არეგულირებენ სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

სექსუალური შევიწროების რეგულაცია საჯარო სივრცეში – კანონმდებლობა

ამერიკის შეერთებული შტატები

შეერთებულ შტატებში სექსუალური შევიწროება რეგულირებულია 1984 წლის დისკრიმინაციის აქტით და განიმარტება, როგორც: „არასასურველი სექსუალური შეთავაზება ან სექსუალური ხასიათის ქმედების არასასურველი მოთხოვნა ისეთ გარემოებაში, რომელშიც ჩვეულებრივ გონიერი ადამიანი (reasonable person) თავს იგრძნობდა დამცირებულად, შეურაცხყოფილად ან შეშინებულად„ (თავი 28A).

ამ აქტის მიხედვით, სექსუალური შევიწროება განსხვავდება სხვა დაცული საფუძვლით შევიწროებისაგან (რასა, ეთნიკური წარმომავლობა, ა.შ.) რადგან ის საკუთარ თავში იმ ძალთა ურთიერთქმედებას გულისხმობს, რომელსაც ადგილი აქვს სპეციფიკურად ქალის და კაცის გენდერულ როლებს შორის და არ გვხვდება (ან სხვა სახით გვხვდება) შევიწროებაში რასის საფუძველზე. ამასთან, თითოეულ შტატს სხვადასხვანაირად აქვს ეს ქმედება რეგულირებული. მიმოვიხილავ ნიუჯერსის შტატის კანონმდებლობას, როგორც მაგალითს[5], რათა წარმოდგენა შეგვექმნას შტატებში ზოგადად ამ ქმედების რეგულაციაზე (ეს შტატი მეტ-ნაკლები სისრულით ასახავს ყველა სხვა შტატში მოქმედ აქტებს).

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება მისი გამოვლენის ფორმის მიხედვით იყოფა და თითოეულ მათგანს სხვადასხვა ან რამდენიმე კანონი არეგულირებს.

---

5. ეს თავი მომზადებულია ტალია ჰაგერტის მიერ შექმნილი საინფორმაციო გამოცემის „იცოდე შენი უფლებები: ქუჩის შევიწროება და სამართალის“ მიხედვით. აქ მიმოხილულია ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი კანონმდებლობა, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების რეგულირებასთან მიმართებით (Hagert, T. et Al., 2013).

სიტყვიერი ძალადობა – საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ამ ფორმას სამი სხვადასხვა კანონი არეგულირებს:

არასაზოგადოებრივი ქმედება[6] (Disorderly Conduct - Title 2C, Chap. 33 §2) ნიუ-ჯერსის კანონმდებლობით, არასაზოგადოებრივ ქმედებას სჩადის ყველა, ვინც მიზანმიმართულად ლახავს ადრესატის ემოციურ ინტერესს საჯარო სივრცეში ხმამაღალი, ძალადობრივი ან დამცინავი ენის გამოყენებით. იგივე კანონი კრძალავს ჩხუბს, დაშინებას, ძალადობრივ ქმედებაში მონაწილეობის მიღებას, საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში ფიზიკური საფრთხის შემცველი მდგომარეობის წარმოქმნას. მისი მიზანია, ადამიანები საჯარო სივრცეში შექმნილი შფოთის, უხერხულობის ან შეწუხებისგან დაიცვას. ეს ქმედება დასჯადია USD 500-მდე ჯარიმით ან ციხეში 30 დღემდე თავისუფლების აღკვეთით.

შევიწროება[7] (Title 2C, Chap. 33 §4) – ვერბალურ შევიწროებას ეს კანონიც ეხება და კრძალავს სხვა პირთან ძალადობრივი ენით კომუნიკაციას, სხვა პირის დაქვემდებარებას ძალადობრივი ფიზიკური ქმედებისადმი, ხელის კვრას, დარტყმას, ამ ქმედებების ჩადენით დამუქრებას ან სხვა პირის მიმართ იმგვარი ქმედების განხორციელებას, რაც მას სერიოზულად შეაშფოთებს ან შეაწუხებს. ასევე, ეს კანონი კრძალავს ადამიანის დაშინებას ან სერიოზულად შეწუხებას – აუცილებელია ქმედების განმეორებითობა, რომ დანაშაულებრივ ქმედებაზე ვისაუბროთ. ქმედება დასჯადია ჯარიმით ან 30 დღემდე თავისუფლების აღკვეთით.

უსიამოვნების შექმნა[8] (Title 2C, Chap. 33 §12) – ნიუჯერსის გააჩნია აქტი, რომელიც კრძალავს უსიამოვნების შექმნას, რომელიც ხელს უწყობს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ან განსაზღვრული რაოდენობის ადამიანების დაცულობას და/ან ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ეს კანონი ძირითადად ორგანიზაციებთან მიმართებით გამოიყენება, რომელიც საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე ადამიანების ჯგუფს სისტემატურად საფრთხეს უქმნის.

---

6. „არასაზოგადოებრივი ქმედების აკრძალვის შესახებ“ აქტი (2C)(33), შეიძლება იქნას მოძიებული აქ: http://njlaw.rutgers.edu/cgibin/njstats/showsect.cgi?title=2C&chapter=33&section=2&actn=getsect

7. 'შევიწროების შესახებ'აქტი (2C)(33)(4) http://njlaw.rutgers.edu/cgi-bin/njstats/showsect.cgi?title=2C&chapter=33&section=2&actn=getsect

8. „უსიამოვნების შექმნის შესახებ“ აქტი (2C)(33)(12): http://njlaw.rutgers.edu/cgi-bin/njstats/showsect.cgi?title=2C&chapter=33&section=4&actn=getsect

კანონსაწინააღმდეგო გადაღება:

პირადი სივრცის დარღვევა[9] (Title 2C, Chap. 14 §9): თუ ადამიანი ლიცენზიის ან სხვა რაიმე უფლების (პრივილეგიის) გარეშე იღებს ფოტოაპარატის ან ვიდეოკამერის გამოყენებით სხვა ადამიანის სხეულის ინტიმურ ნაწილებს ან მის სექსუალურ აქტს ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, ის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას სჩადის. საჯარო ტუალეტებში, გასახდელებში, სასტუმროს ოთახებში, ან სხვა საჯარო სივრცეში ამგვარი გადაღება კანონსაწინააღმდეგოა და მსხვერპლს შეუძლია, პოლიციას მიმართოს. ქმედება დასჯადია 10,000$-მდე ჯარიმით ან 18 თვით თავისუფლების აღკვეთით.

გარყვნილება[10] (Title 2C, Chap. 14 §4): ეს დანაშაულიც მოიცავს საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ერთ-ერთ ფორმას, რაც შეიძლება იყოს გენიტალების ან სხეულის ინტიმური ნაწილების ჩვენება სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით. თუ ადამიანი ამგვარ ქმედებას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას (პარკში, ტრანსპორტში, მაღაზიაში) სჩადის, მისი ქმედების შესახებ პოლიციაში გაცხადება შეიძლება. გარყვნილება დასჯადია ჯარიმით ან 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთით, ჯარიმის ოდენობა USD 10 000-მდე, ხოლო თავისუფლების აღკვეთის ვადა 18 თვემდე შეიძლება გაიზარდოს, თუ ქმედება ბავშვის თანდასწრებით იქნა ჩადენილი.

უკან გაყოლა – პირს პოლიციაში დარეკვა პირველივე შემთხვევის დროს შეუძლია, თუ იგი ფიქრობს, რომ ვინმე მას უკან მიჰყვება. ამ შემთხვევაში, საჭირო არ არის ამ დანაშაულისათვის განმეორებითობა (რაც მას განასხვავებს გადაკიდებისგან (stalking) და სხვა კანონებისგან).

კანონსაწინააღმდეგო ძალადობა[11] (Title 2C, Chap. 13 §5) ეს ქმედება გულისხმობს პირისათვის რაიმეს გაკეთების დაძალებას საჯაროდ, ის განსხვავდება ზოგადად ძალადობისგან (assault), რადგან კანონსაწინააღმდეგო ძალადობის შემთხვევაში, ქმედება საჯარო ადგილას ხდება. ამ ქმედების კვალიფიცირებისთვის საჭირო არ არის, ძალადობამ ძალიან მაღალ დონეს მიაღწიოს, რომ იგი საშიში იყოს და საკმარისი იყოს რაიმე ქმედების ჩასადენად. თუ ამ ქმედებას კავშირი

9. „პირადი სივრცის დარღვევის შესახებ“ აქტი (2C)(14)(9): http://njlaw.rutgers.edu/cgi-bin/njstats/showsect.cgi?title=2C&chapter=14&section=9&actn=getsect

10. „გარყვნილების შესახებ“ აქტი (2C)(14)(4) :http://njlaw.rutgers.edu/cgi-bin/njstats/showsect.cgi?title=2C&chapter=14&section=4&actn=getsect

11. „კანონსაწინააღმდეგო ძალადობის შესახებ“ აქტი (2C)(13)(5): http://njlaw.rutgers.edu/cgi-bin/njstats/showsect.cgi?title=2C&chapter=13&section=5&actn=getsect

აქვს სექსუალობასთან, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს კანონიც საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას არეგულირებს. ქმედება დასჯადია მსხვერპლის მიერ პოლიციისათვის შეტყობინების შემთხვევაში ჯარიმით, ან 18 თვემდე თავისუფლების აღკვეთით.

გადაკიდება (Stalking)[12] (Title 2C, Chap. 12 §10) გადაკიდებად ნიუ-ჯერსის კანონმდებლობით განსაზღვრულია ისეთი განზრახი ქმედება, რომელიც კონკრეტული ადამიანისკენაა მიმართული – მისი დაცულობის მხრივ საფუძვლიან შიშს წარმოშობს ან მას ემოციურ სტრესს აყენებს. ქმედება შეიძლება იყოს განმეორებით ვიზუალური ან ფიზიკური სიახლოვის დამყარება პირთან უკან ადევნების, დაკვირვების, შემოწმების, დაქვემდებარების, დაშინების, ან ამ პირის შესახებ კომუნიკაციის საშუალებით. განმეორებით ჩადენილი შევიწროებაც გადაკიდებად კვალიფიცირდება და დასჯადია თავისუფლების აღკვეთით 18 თვემდე.

კანონსაწინააღმდეგო სექსუალური კონტაქტი (Title 2C, Chap. 14 §3) – გარდა თანხმობის გარეშე სექსუალური კონტაქტის დამყარებისა, კანონსაწინააღმდეგოდ მოიაზრება ადამიანის სხეულის ინტიმურ ნაწილებზე განზრახ შეხება სექსუალური კმაყოფილების მიღწევის ან ადამიანის დამცირების მიზნით. სხეულის სექსუალური ნაწილები მოიცავს გენეტალიებს, დუნდულებს, საზარდულს, ბარძაყს ან/და მკერდს. თუ შეხება საჯარო სივრცეში ძალის გამოყენებით ხდება ან მოძალადე თავისუფალ გადაადგილებას გიზღუდავს, ქმედება შეიძლება იქნას გაცხადებული პოლიციაში და ამ შემთხვევაში მოძალადე ისჯება ჯარიმით ან 18 თვემდე თავისუფლების აღკვეთით.

შევიწროება დისკრიმინაციული საფუძვლით[13] (Bias Intimidation Title 2C, Chap. 16 §1) – გულისხმობს ადამიანის დაშინებას, შევიწროებას, გარყვნილ ქმედებას, პირადი სივრცის დარღვევას, კანონსაწინააღმდეგო ძალადობას, ძალადობას, კანონსაწინააღმდეგო სექსუალურ კონტაქტს ან სხვა ძალადობრივ ქმედებას, რომელიც ჩადენილია პირის თანდაყოლილი ან შეძენილი და დაცული მახასიათებელი ნიშნის გამო, რაც შეიძლება იყოს რასა, კანის ფერი, ნაციონალობა, ეთნიკური წარმომავლობა, გენდერი, გენდერული იდენტობა ან თვითგამოხატვა, სექსუალური ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობა ან/და რე-

12. „გადაკიდების შესახებ“ აქტი (2C)(12)(10): http://njlaw.rutgers.edu/cgi-bin/njstats/showsect.cgi?title=2C&chapter=12&section=10&actn=getsect

13. „დისკრიმინაციული საფუძვლით შევიწროების შესახებ“ აქტი (2C)(16)(1): http://njlaw.rutgers.edu/cgi-bin/njstats/showsect.cgi?title=2C&chapter=16&section=1&actn=getsect

ლიგია. თუ ამ რომელიმე ნიშნის გამო ადამიანის მიმართ დანაშაული იქნა ჩადენილი, ქმედებაზე შეიძლება გაცხადებულ იქნას პოლიციაში. იგი დასჯადია ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით. გარდა ამისა, შემვიწროებელმა უნდა გაიაროს რიგი ტრენინგები, რაც მისი ქცევის გამოსწორებისაკენაა მიმართული.

დიდი ბრიტანეთი

დიდ ბრიტანეთში შევიწროება რეგულირდება 1997 წლის აქტით „შევიწროებისგან დაცვის შესახებ", რომელიც ზოგადად შევიწროებას დასჯად ქმედებად აცხადებს. ასევე, ამ აქტით გათვალისწინებული ქმედების დასჯადობაზე მიუთითებს ბრიტანული კანონი „პოლიციისა და კრიმინალური სამხილების შესახებ" (The Police and Criminal Evidence Act, 1984), რომელიც იმ დანაშაულებს განიხილავს, რომელთა ჩადენის შემთხვევაში კანონი თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. თუმცა, კანონში არ არის მინიშნება შევიწროების შესაძლო სექსუალურ ხასიათზე და ძირითადი აქცენტი კეთდება ძალადობის მუქარაზე, რომელიც ადამიანში საფუძვლიან შიშს აღძრავს (4(1)). დანაშაული უნდა იყოს განმეორებადი, ანუ მუქარა მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა განმეორდეს, რომ საფუძვლიანობის ზღვარს მიაღწიოს და განზრახი უნდა იყოს. დანაშაულისათვის შეიძლება პირს თავისუფლების აღკვეთა მაქსიმუმ 6 თვის ვადით შეეფარდოს, ან დაჯარიმება, ან ორივე ერთად.

მიუხედავად იმისა, რომ აქტი შევიწროებას ეხება, იგი თითქმის უძლურია სექსუალური ძალადობის ბევრ ფორმასთან გასამკლავებლად, რადგან მოიცავს მოძალადის განზრახვას, რისი მტკიცებაც საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების მსხვერპლისთვის საკმაოდ რთულია. გარდა ამისა, იგი განმეორებით ძალადობის მუქარასაც მოიცავს, მაშინ, როდესაც სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში შეიძლება მოხდეს ერთჯერადი, არასასურველი შეხების ან გენიტალების ჩვენების შედეგად და მსხვერპლში საფუძვლიანი შიში გამოიწვიოს.

რაც შეეხება სექსუალურ შევიწროებას, ბრიტანული კანონმდებლობით იგი სექსუალური დანაშაულების შესახებ 2003 წლის აქტით[14] რეგულირდება და „სექსუალური ძალადობა" (Sexual Assault) ჰქვია. „სექსუალური ძალადობის" შინაარსი ყველაზე ახლოს ასახავს საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების შინაარსს და ამიტომ, მისი დეტალური განხილვა მნიშვნელოვანი მგონია.

---

14. სექსუალური ძალადობის შესახებ აქტი 2003: http://www.legislation.gov.uk/ukpga/2003/42/section/

სექსუალური შევიწროების მთავარი ელემენტებია:

- ადამიანი განზრახ უნდა ეხებოდეს მეორე ადამიანს;
- შეხება უნდა იყოს სექსუალური ხასიათის;
- ადამიანი, რომელსაც ეხებიან, არ უნდა იძლეოდეს თანხმობას (ქმედება მისთვის უნდა იყოს არასასურველი);
- დამნაშავემ უნდა იცოდეს, რომ ეს ქმედება არასასურველია, და მაინც უნდა მოქმედებდეს.

ასევე, ამ დანაშაულის შემადგენლობის განხილვისას მოქმედებს ბრიტანულ კანონმდებლობაში მოცმეული განმარტებები სექსუალურ ქმედებასთან, თანხმობასთან და საფუძვლიან შიშთან დაკავშირებით.

შეხებად კვალიფიცირდება არსასურველი შეხება სხეულის ნებისმიერ ნაწილზე, ნებისმიერი საგნის ან სხეულის ნაწილის გამოყენებით და შეიძლება მოხდეს ტანსაცმლის ზემოდან. რაც შეეხება ქმედების სექსუალობას, თუ თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შეხება არ არის სექსუალური ხასიათის, მაშინ უნდა დადგინდეს შეხების მიზანი და მისი კავშირი სექსუალობასთან. ზოგადად, კანონსაწინააღმდეგო ქმედების მთავარი მდგენელია მისი კავშირი სექსუალობასთან.

ევროკავშირის დირექტივები

ევროკავშირის დირექტივა #2006/54/EC[15] სექსუალურ შევიწროებას შემდეგნაირად განსაზღვრავს:

„შევიწროებაა არასასურველი ქმედება, რომელიც დაკავშირებულია პიროვნების სქესთან და რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ღირსების შელახვას, მსხვერპლისთვის მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, ან ძალადობრივი გარემოს შექმნას" (მუხლი 2(1)(c).

„სექსუალური შევიწროებაა არასასურველი, სექსუალური ხასიათის, ვერბალური ან არავერბალური ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ღირსების შელახვას, ან განსაკუთრებით მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, ან ძალადობრივი გარემოს შექმნას".

მიუხედავად იმისა, რომ დირექტივაში მოცემული სექსუალური

15. ევროკავშირის დირექტივა 2006/54/EC რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებისა და საქმიანობის საკითხებთან მიმართებით მამაკაცისა და ქალის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას სავალდებულოა საქართველოსთვის და უნდა შესრულდეს ასოცირების შესახებ შეთანხმების მიღწევიდან 4 წლის ვადაში: http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2006:204:0023:0036:en:PDF

შევიწროების განმარტება, იგი არ შეიცავს ისეთ ფრაზებს, რომელიც პირდაპირ მიგვანიშნებდა მსხვერპლის დაქვემდებარებულ მდგომარეობაზე (ამ შემთხვევაში, სექსუალური შევიწროება მთლიანად სამსახურებრივი სფეროსა და იერარქიის გათვალისწინებით რეგულირდება), დირექტივის მთლიანი ხასიათიდან გამომდინარე, ის მაინც მიემართება სპეციფიკურად სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროებას, სავალდებულო ტრეინინგების მიღებისას და დაწინაურების დროს. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ევროკავშირის ქვეყნებში სექსუალური შევიწროების რეგულაცია უპირატესად სამუშაო ადგილს მიემართება და ღიად ტოვებს საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროების საკითხს.

ევროკავშირის 2006/54 დირექტივის 2(1)(c) მუხლი და 2004/113[16] დირექტივის 2(c) მუხლი შევიწროების შესახებ იდენტურია და შემდეგნაირად იკითხება: „პირის შევიწროება არის პირის დაქვემდებარება ისეთი ქმედებებისადმი, რომელიც მსხვერპლისთვის არასასურველია და დაკავშირებულია მის სპეციფიკურ გენდერულ მიკუთვნებულობასთან, მოიცავს სექსუალური ხასიათის ქმედებებს, თუ ამგვარი ქმედებების მიზანი ან შედეგი არის პირის ღირსების შელახვა ან დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი ან ძალადობრივი გარემოს შექმნა“. ჩემი აზრით, ეს განმარტება საკმაოდ ლაკონურია და მოიცავს თითქმის ყველა იმ საჭირო კომპონენტს, რაც მოცემული უნდა იყოს სექსუალური შევიწროების დეფინიციაში და ამიტომ, შესაძლოა გათვალისწინებული იქნას საზოგადოებრივ ადგილებში სექსუალური შევიწროების აკრძალვის პროექტზე მუშაობისას.

ავსტრია

სისხლის სამართალი: 2007 წელს ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსს[17] დაემატა რეგულაცია სექსუალური შევიწროების შესახებ, რომელიც არეგულირებს სექსუალურ შევიწროებას და საჯარო სივრცეში სექსუალურ ქმედებას. სისხლის სამართლის კოდექსის 218(1) მუხლი არეგულირებს სექსუალურ ქმედებას და მოიცავს ეგზიბიციონიზმსაც. დასჯისათვის აუცილებელია იმ პირის ავტორიზაცია (საჩივრის შეტანა,

16. ევროკავშირის დირექტივა 2004/113 მომსახურებასა და საქონელთან ხელმისაწვდომობის დროს სექსუალური შევიწროების შესახებ: http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2004:373:0037:0043:en:PDF

17. ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსი, 2016 წლის მდგომარეობით: http://www.icla.up.ac.za/images/un/use-of-force/western-europe-others/Austria/Criminal%20Code%20Austria%201998.pdf

პოლიციისთვის ჩვენების მიცემა), ვინც სექსუალური შევიწროება განიცადა. სასჯელი შეიძლება იყოს მაქსისმუმ 6 თვით თავისუფლების აღკვეთა ან 360 დღიური ნორმის ღირებულების ჯარიმა, რაც შეიძლება იყოს მინიმუმ 1,440 და მაქსიმუმ 1,800 000 ევროს ოდენობის.

ბელგია

ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსის[18] 442(ბის) მუხლი შევიწროებას არეგულირებს, როგორც დანაშაულს, თუმცა ევროკავშირის ქვეყნებს შორის ბელგიას სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული საქმის წარმოების ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს, რაც იმითაც არის განპირობებული, რომ შევიწროების სექსუალური ხასიათი მუხლში პირდაპირ მოცემული არ არის და ამასთან, პრაქტიკულად სექსუალური შევიწროება მხოლოდ სამუშაო სივრცეში აღიქმება შესაძლებლად.

ბულგარეთი[19]

სისხლის სამართალი არეგულირებს პირის თანხმობის გარეშე ჩადენილ სექსუალურ ქმედებას და პირის იძულებას, ჩაიდინოს სექსუალური ქმედება. სექსუალური შევიწროება ყველა აქტს მოიცავს, რომელიც შეიძლება სექსუალურ ხელშეუხებლობის კონცეპტში შევიდეს. ასევე, სისხლის სამართალი (153PC) დამამძიმებელ გარემოებად გამოჰყოფს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილ სექსუალურ შევიწროებას, ან სექსუალურ ძალადობას, თუმცა ეს მუხლი პრაქტიკულად მკვდარია და პრაქტიკაში არ გამოიყენება.

კვიპროსი, დანია, გერმანია, ლატვია

ამ ქვეყნებში სისხლის სამართლით რეგულირდება მხოლოდ სექსუალური შევიწროების უკიდურესი და ძალადობრივი ფორმები, როგორიცაა გაუპატიურება და გაუპატიურების მცდელობა. ამას ექსპერტები აფასებენ, როგორც სექსუალური შევიწროების რეგულაციას სისხლის სამართლის კანონმდებლობით, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ გაუპატიურება სექსუალური შევიწროების ის უკიდურესი ფორმაა,

18. ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსი: http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=11657
19. ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსი: http://www.vks.bg/english/vksen_p04_04.htm

რომელიც ისედაც ნათელია, რომ დარეგულირებული იქნება კანონმდებლობით. ამიტომ, სხვა ქვეყნების მაგალითის განხილვისას, ამ დეტალზე ყურადღებას აღარ გავამახვილებ და ამგვარ ქვეყნებს ერთ კატეგორიად დავაჯგუფებ.

შევიწროების და სექსუალური შევიწროების კონცეპტი გერმანულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში[20] გათვალისწინებული არ არის. სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომელიც ეხება სექსუალური ხასიათის დანაშაულებს (184) (გ) მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის გარკვეულ დონეს მიაღწევს (იგულისხმება შედარებით მძიმე დანაშაულები). ნაგულისხმევია, რომ სექსუალური შევიწროების შედარებით მცირე ფორმები წარმართულ უნდა იქნას პირისთვის მორალური ზიანის მიყენების შესახებ მუხლით, მაგრამ ამგვარი რამ პრაქტიკაში არასოდეს ყოფილა დაფიქსირებული, რადგან თვითონ სასამართლოებს აქვთ დასჯადი სექსუალური ქმედების გაგების პრობლემა (Numhausser-Henning, Laulom, 2012).

ესტონეთი

სისხლის სამართალი არ შეიცავს პირდაპირ რაიმე მუხლს, რომელიც საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროებას არეგულირებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სექსუალურ შევიწროებაში (ქმედებაში) ძალადობა იკვეთება, შეიძლება სისხლის სამართლის რამდენიმე მუხლი მიესადაგოს: მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის[21] 152-ე მუხლი, რომელიც თანასწორობის დარღვევას მოიცავს. 152(1)-ე მუხლი ამბობს, რომ პირისათვის რაიმე უფლების შეზღუდვა ან მინიჭება მისი ეროვნების, რასის, ფერის, სქესის, ენის, წარმომავლობის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, პოლიტიკური შეხედულებების, ფინანსური ან სოციალური სტატუსის, დასჯადია დაკავებით ან მაქსიმუმ ჯარიმით 300 დღიური ნორმის ოდენობით. ეს მუხლი პრაქტიკაში არასოდეს ამოქმედებულა. გენდერული თანასწორობის კანონის ერთ-ერთი კომენტატორი (Albi, 2012) ამბობს, რომ რადგან სექსუალური შევიწროება ეხება პირის ღირსებას, ქმედება ექცევა ამ მუხლის მოქმედების ქვეშ, რადგან ის წარმოადგენს სქესის ნიშნით დისკრიმინაციას. აქედან გამომდინარე, ეს მუხლი შეიძლება იქნას

20. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/

21. ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსი: http://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/33

ინტერპრეტირებული ზოგადად, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში განმარტებული დისკრიმინაციის აკრძალვის მსგავსად, და შეიძლება გამოყენებულ იქნას სექსუალური დისკრიმინაციის ქეისების განსახილველად.

ესტონეთის მაგალითი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ თუ მუხლში პირდაპირ და ცალსახად არ არის განმარტებული, რომ ის გამოიყენება სექსუალური შევიწროების დროს, მუხლი რჩება პრაქტიკულად გამოუყენებელი სექსუალურ შევიწროებასთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, არეგულირებს ამ საკითხს სხვა რომელიმე მუხლი/კანონი/აქტი თუ არა.

ფინეთი

სისხლის სამართლის კოდექსის[22] (20)(5)(4) არეგულირებს სექსუალურ შეწუხებას (sexual abuse) მაგრამ ვინაიდან მხოლოდ იმ ქეისებს შეეხება, როდესაც შემვიწროებელი „აშკარად იყენებს უპირატესობას" იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც განსაკუთრებულად დამოკიდებულია მასზე, ნათელია, რომ სისხლის სამართლის ეს მუხლი არა საზოგადოებრივ სივრცეში, არამედ სამუშაო ადგილას სექსუალურ შევიწროებას არეგულირებს, რადგან რამდენად „აშკარაა" მამაკაცთა უპირატესობა ქალზე გენდერული ნიშნით საზოგადოებრივ ადგილებში, ჯერ კიდევ საკამათო თემაა.

საფრანგეთი

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსით[23] (222)(33) და (222)(33)(3) დასჯადია მორალური და სექსუალური შევიწროება, და 15,000 ევრომდე ჯარიმით ან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

საბერძნეთი

შევიწროება შეიძლება იყოს განხილული, როგორც უფრო ზოგადი დისციპლინური გადაცდომა (ვიდრე სამსახურებრივი ურთიერთობებია) და შეიძლება იქნას განხილული ისეთი ქმედებებიც, როგორებიცაა:

---

22. ფინეთის სისხლის სამართლის კოდექსი: http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/1889/en18890039.pdf
23. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი: http://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/30

„მოქალაქეებისადმი, უფროსებისადმი ან სხვა თანამშრომლებისადმი მიმართული არამართებული ქმედებები", „ინციდენტი, რომელიც მოხდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან მის გარეშე" – ეს ორი ჩანაწერი საბერძნეთის საჯარო მოხელეთა შესახებ კანონში[24] (მუხლი 107, 3528/2007 აქტი) უფლებას მაძლევს, ვივარაუდო, რომ ეს კანონი სამსახურებრივი ურთიერთობების გარეთ ჩადენილ სექსუალური შევიწროების ქმედებებსაც მიესადაგება. თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსით, სექსუალური შევიწროების მხოლოდ ისეთი სერიოზული ფორმაა დარეგულირებული, როგორიცაა გაუპატიურება ან გაუპატიურების მცდელობა, რომელიც 5-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

ისლანდია

ისლანდიის სისხლის სამართლის კოდექსის[25] 199-ე მუხლის მიხედვით, ნებისმიერ ადამიანს, რომელიც დამნაშავედ არის ცნობილი სექსუალურ შევიწროებაში, შეიძლება თავისუფლება აღეკვეთოს მაქსიმუმ 2 წლამდე. „სექსუალური შევიწროება" – ამ კანონში სექსუალური შევიწროება ასევე ადამიანისათვის გენიტალებზე ან მკერდზე ხელის მოკიდებას/მოსინჯვას მოიცავს, მიუხედავად იმისა, ეს იქნება ტანსაცმლის ზემოდან თუ ტანსაცმლის გარეშე, ასევე გამომწვევ ქმედებას (შეთავაზებებს) და ენას, რომელიც არის უკიდურესად ძალადობრივი, განმეორებითი ან იმგვარი, რომ შეიძლება შიში გამოიწვიოს (Act No. 61/2007, Article 8).

ირლანდია

ადამიანის წინააღმდეგ მიმართული არა-ფატალური დანაშაულების აქტის[26] მე-10 თავი (Non-Fatal Offences Against the Person Act 1997) სექსუალური შევიწროების კრიმინალიზებას ახდენს. პირი სექსუალურ შევიწროებაში დამნაშავეა, როდესაც იგი განზრახ ან გაუფრთხილებლობით, სერიოზულად არღვევს სხვა ადამიანის სიმშვიდეს და პირად სივრცეს, ან იწვევს შეშფოთებას, სტრესს, ან

24. საბერძნეთის კანონი საჯარო მოხელეთა შესახებ: http://www.ilo.org/dyn/natlex/natlex4.detail?p_lang=en&p_isn=81308
25. ისლანდიის სისხლის სამართლის ქოდექსი: http://www.parliament.am/library/Qreakan/islandia.pdf
26. ირლანდიის კანონი ადამიანის წინააღმდეგ მიმართული არა-ფატალური დანაშაულების შესახებ: http://www.irishstatutebook.ie/eli/1997/act/26/enacted/en/html

სხვაგვარად აზიანებს პირს იმ შემთხვევაში, როდესაც გონიერი ადამიანი მისი ქმედებების ამგვარ ხასიათს გააცნობიერებდა. ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა. ასევე, გათვალისწინებულია იმ პირის დაცვა, რომლის მიმართაც სექსუალური შევიწროება ჩაიდინეს. წამქეზებლობის აკრძალვის შესახებ კანონი (The Prohibition of Incitement Act 1989), ასევე, რასის, რელიგიის, ეროვნების ან სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე სიძულვილის გავრცელებას კრძალავს გამომცემლობით საქმიანობაში ან წერილობითი მასალის გავრცელებაში.

იტალია

იტალიის სისხლის სამართალს[27], 2009 წელს დაემატა ახალი მუხლი გადაკიდებაზე (stalking) – აქტი 38, 2009 წლის 23 აპრილი. მუხლი გულისხმობს 6 თვიდან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას იმ ადამიანისათვის, რომელიც განმეორებითი ქმედების საშუალებით აშინებს ან აშფოთებს სხვა პირს, აიძულებს მას, შეცვალოს საკუთარი ჩვევები, ან მასში ღრმა და განგრძობით შიშს ან შფოთვას იწვევს, თუ მსხვერპლი არის ყოფილი პარტნიორი, არასრულწლოვანი, ფეხმძიმე ქალი ან შეზღუდული უნარების მქონე ადამიანი, თუ ქმედება ჩადენილია რაიმე იარაღის გამოყენებით ან შენიღბული ადამიანის მიერ. სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსხვერპლი ამ ფაქტის შესახებ განაცხადებს. თუმცა, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა სავალდებულოა, თუ მსხვერპლი არასრულწლოვანი ან შეზღუდული უნარების მქონე პირია, ან თუ ფაქტი დაკავშირებულია სხვა დანაშაულთან, რომელთან მიმართებით სისხლის სამართლის დევნა იწყება ex officio. მე-8 მუხლის თანახმად, მანამ, სანამ რაიმე ქმედებას განახორციელებდეს პოლიცია, მსხვერპლმა შეიძლება ითხოვოს მისი სიტყვიერი გაფრთხილება. პოლიციამ შეიძლება იმოქმედოს დაუყოვნებლივ, ან წერილობითი მიმართვის შემდეგ (თუ ამას საჭიროდ ჩათვლის). თუ ქმედება მაინც გრძელდება გაფრთხილების მიცემის შემდეგ, პოლიციას შეუძლია, მსხვერპლის მიერ განაცხადის გაკეთების გარეშეც იმოქმედოს. პოლიციას შეუძლია შემაკავებელი ორდერის გამოცემა, რომელიც სამართლებრივად მბოჭავია. ამ კანონის საფუძველზე, შექმნილია უფასო სატელეფონო ხაზი, რომელიც მსხვე-

27. იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი: http://www.drze.de/in-focus/euthanasia/modules/the-penal-code-of-italy?set_language=en

რპლს 24 საათის განმავლობაში ემსახურება, მას თავდაპირველ ფსიქოლოგიურ და იურიდიულ დახმარებას სთავაზობს და გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მსხვერპლის თანხმობით, ფაქტის შესახებ პოლიციას ატყობინებს.

კიდევ რამდენიმე მუხლი იტალიის სისხლის სამართლის კოდექსში, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტიც შეიძლება იყოს შევიწროება, არის 600-ე მუხლი - „შევიწროება ან სხვა პირების შეწუხება" (Harassment or disturbance to persons) და 594-ე მუხლი „შეურაცხყოფის (ზიანის) მიყენება„ (Insults). თუმცა, გადაკიდებისგან (stalking) განსხვავებით, ამ მუხლების ასამოქმედებლად, შევიწროება განზრახ გამიზნული უნდა იყოს.

ლიტვა

ლიტვის სისხლის სამართლის კოდექსის[28] 152-ე მუხლი სექსუალურ შევიწროებას დასჯად ქმედებად ადგენს (და არა დანაშაულად). მუხლი მხოლოდ სამსახურეობრივ ურთიერთობებში მყოფ ან სხვაგვარად დაქვემდებარებულ პირებს ეხება. თუმცა, მისი შინაარსი საინტერესოა, რადგან სექსუალური შევიწროებისას, დანაშაულის დადგომისთვის მუხლი ითვალისწინებს სექსუალური კონტაქტის ან დაკმაყოფილების განზრახვას.

ჰოლანდია

ჰოლანდიის კანონმდებლობით, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება რეგულირებული არ არის. სექსუალური შევიწროება რეგულირებულია სამუშაო ადგილას, სერვისის მიწოდებისას ან განათლების მიღებისას და ასევე, საზოგადოებრივი შეთანხმებებით. შესაძელებელია, ჰოლანდიის პოლიციაში განაცხადო ზოგადად დისკრიმინაციის შესახებ, რომელიც ფარავს დისკრიმინაციას ყველა შესაძლო საფუძველზე, თუმცა ჰოლანდიის სოციალური კვლევის ინსტიტუტის მიერ 2014 წლის მარტში გამოქვეყნებული კვლევა დისკრიმინაციის შესახებ ამბობს, რომ მსხვერპლთა მხოლოდ 7% აცხადებს დისკირიმინაციის შესახებ პოლიციაში (Andriessen, Fernee, Wittebrood, 2014). ვინაიდან საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების და სქესის გამო დისკრიმინაციის დონე მაღალია, შეიქმნა სამოქალაქო ინიციატივა straatintimidatie.nl, რომელიც პროაქტიული კამპანიებით და პეტიციით ითხოვს ჯარიმის დაკისრებას საჯარო სივრცეში ქალთა

28. ლიტვის სისხლის სამართლის კოდექსი: http://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes

მიმართ სექსუალურ შევიწროებაზე. საინტერესოა, რომ პეტიცია გენდერულად სპეციფიკურია და მხოლოდ კაცის მხრიდან ქალის შევიწროებას ეხება.

რუსეთი

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში სექსუალური შევიწროება საერთოდ არც ერთი საკანონმდებლო აქტით არ რეგულირდება, მათ შორის არც საჯარო სივრცეში და არც სამუშაო ადგილას ან/და სერვისის მიწოდების დროს, ეს ქვეყანა საინტერესოა საქართველოს მაგალითისთვის, რადგან, გენდერთან და სექსუალობასთან დაკავშირებული კანონპროექტები პოსტსაბჭოთა სივრცეში ხშირად სწორედ რუსეთიდან მოძრაობს. ამასთან, რუსეთი არის გაეროს კონვენციის ხელმომწერი ქვეყანა, რომელიც სექსუალურ შევიწროებას დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად ცნობს, მაგრამ ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის შრომის კოდექსი, სექსუალური შევიწროების განმარტებას არ იძლევა და მსგავსი ქმედება არც სხვა რომელიმე მუხლით არ რეგულირდება. რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს მუხლებს გაუპატირებასა და ძალადობრივ სექსუალურ ქმედებებზე.

2014 წლის სექტემბერში, დუმის დეპუტატმა ოლეგ ნილოვმა, სექსუალური შევიწროების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივა წარადგინა. კანონპროექტი სექსუალურ შევიწროებას განმარტავდა, როგორც კაცის მხრიდან ქალ(ებ)ის მიმართ განხორციელებულ არასასურველ სექსუალურ ქმედებას ან კონტაქტის მცდელობას სექსუალური სიამოვნების მიღების მიზნით ან სხვა შეუსაბამო სექსუალური ხასიათის ფიზიკურ ან ვერბალურ ქმედებას. ნილოვის კანონპროექტს რუსეთის დუმამ მხარი არ დაუჭირა.

უკრაინა

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ 2010 წელს რეკომენდაცია (ILO, 2010) გამოსცა უკრაინის რადას მისამართით, რომელიც გენდერულ თანასწორობას შეეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა მსოფლიო შრომის ორგანიზაციის (ILO) კონცენციის ხელმომწერი ქვეყანაა, მისი შრომის კოდექსი სექსუალური შევიწროების დასჯადობას არ ითვალისწინებს. რაც შეეხება სექსუალური შევიწროების რეგულირებას საჯარო სივრცეში, საქართველოს მსგავსად, ეს ქმედება მთლიანად საკანონმდებლო რეგულაციის მიღმაა დარჩენილი.

დასკვნა: საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროებისას გასათვალისწინებელი თანხვედრები და ოპოზიციები

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება ძალიან ბევრი ქალის, ლგბტქ[29] იდენტობის მქონე ადამიანის და ზოგიერთი კაცის ყოველდღიური გამოცდილებაა. კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანები ხშირად ერთდროულად განიცდიან სექსუალური შევიწროების ვერბალურ და ფიზიკურ ფორმებს. ასევე, სექსუალური შევიწროების ალბათობა იზრდება, თუ ადამიანი არ იზიარებს უმრავლესობის ეთნიკურ ჯგუფს, რელიგიურ ან სექსუალურ პრეფერენციას. მთლიანობაში, ლგბტქ ჯგუფების მიმართ განხორციელებული ფიზიკური და ვერბალური სექსუალური შევიწროება ორჯერ აღემატება[30] საჯარო სივრცეში ჰეტეროსექსუალი ადამიანების მიმართ ჩადენილ შევიწროებას (Street Harassment National Report, p.20).

საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროების რეგულირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ძიებისას და ანალიზისას, ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალი, რომლის ხაზგასმაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ამ კანონსაწინააღმდეგო **ქმედების წინააღმდეგ მიმართული მრავალმხრივი საზოგადოებრივი ჩართულობაა.** ეს გულისხმობს საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების შესახებ მოქალაქეებში ცნობიერების ამაღლებას, რაც დანაშაულის იდენტიფიკაციას გაადვილებს. ასევე, ეს გულისხმობს ამ დანაშაულთან და მის გაცხადებასთან დაკავშირებულ სოციალურ სტიგმასთან ბრძოლას. სექსუალური შევიწროება ერთ-ერთი ის ქმედებაა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლისთვისაც კანონი, როგორც სამართლებრივი აქტი, სახელმწიფოს მიერ გამოვლენილი პოლიტიკური ნებაა, რომელიც გენდერულად თანასწორი საზოგადოებრივი სივრცის შექმნისაკენაა მიმართული და, ამასთან, ეს კანონი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალებაც – მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი საზოგადოებრივი სივრცის დაცულობისათვის ბრძოლის მხოლოდ ერთი ასპექტია, სოციალური

29. ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ქვიარ ადამიანები.

30. ლგბტქ ჯგუფის პირთა 57%-ს განუცდია ქუჩაში სექსუალური შევიწროების სიტყვიერი ფორმა მაშინ, როიდესაც ჰეტეროსექსუალად იდენტიფიცირებულ ადამიანთა მხოლოდ 37%-ია ამგვარი ქცევის მსხვერპლი. ფიზიკურად აგრესიულ ფორმებთან მიმართებაშიც მსგავსი თანაფარდობაა 48% და 28%, შესაბამისად. (Street Harassment National Report, 2014)

სამართლიანობის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ინსტრუმენტებთან ერთად.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ამ საკითხს განსხვავებულად არეგულირებს, არსებობს ერთი ძირითადი კონცეპტი, რომელიც საზოგადოებრივ სივრცეში სექსუალური შევიწროების რეგულირებისაკენ მიმართულ ყველა სამართლებრივ აქტში გვხვდება. კერძოდ, ქმედება უნდა იყოს არასასურველი და უნდა დადგინდეს **ქმედების კავშირი სექსუალობასთსან/სექსუალურ ინტერესთან;** ამასთან, ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ერთხმად იზიარებს პრინციპს, რომ საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით საქმე მხოლოდ მსხვერპლის შეტყობინების შემდეგ აღიძვრება. აქედან გამომდინარე, ამ საკითხთან დაკავშრებით ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია, ვინაიდან ეს ქმედება, მისი ნორმალიზებული და ტრივიალიზებული ბუნებიდან გამომდინარე, ხშირად საზოგადოებისათვის უხილავია.

ასევე, საინტერესოა **გენდერულად განსაზღვრული** მიმართება, რაც არ გვხვდება საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების რეგულაციისას, მაგრამ გვხვდება სამუშაო ადგილას სექსუალური შევიწროების რეგულაციის დროს. რიგი ქვეყნის კანონმდებლობები ქმედებას განსაზღვრავს კაცის მიერ ქალის მიმართ ჩადენილად და ამით ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სექსუალური შევიწროება არის ქალთა მიმართ არსებული გენდერული უთანასწორობის და ჩაგვრის პროდუქტი. ამ მოსაზრებას იზიარებს ასევე მკვლევართა უმეტესობა აკადემიურ სივრცეში. თუმცა, ვფიქრობ, რომ კანონმდებლობით ამ საკითხის რეგულირებისას, ქმედება გენდერულად განსაზღვრული არ უნდა იყოს, რათა საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების მაქსიმალური შემთხვევა დაარეგულიროს.

საინტერესოა ქმედების წინასწარი განზრახვის აუცილებლობაც. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითხოვს, რომ სექსუალური შევიწროება იყოს **განზრახი** ქმედება. საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით სინტია ბოუმანი პირდაპირ აცხადებს, რომ არ შეიძლება დანაშაულის და პასუხისმგებლობის განსაზღვრა შემვიწროებლის განზრახვის საფუძველზე (Bowman, 1993 p.21). წინააღმდეგ შემთხვევაში მუხლი მკვდრადშობილი იქნება, რადგან რიგ შემთხვევაში, შესაძლოა შემვიწროებლის განზრახვის მტკიცება მსხვერპლისთვის რთული ან შეუძლებელიც კი იყოს.

იმ ქვეყნის კანონმდებლობები, სადაც საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება პირდაპირ არ არის დარეგულირებული და ამ

ქმედებას ან მის რომელიმე გამოვლინებას სხვა რომელიმე მუხლი არეგულირებს, მის კანონსაწინააღმდეგოდ კვალიფიცირებისათვის, ხანდახან ქმედების **განმეორებითობას** ითხოვს (მაგ. დიდი ბრიტანეთი, იტალია). აუცილებელია, რომ კანონმდებლობა, რომელიც საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროებას მოაწესრიგებს, არ ითხოვდეს ქმედების განმეორებითობას ან განგრძობითობას, რადგან ამ კანონ-საწინააღმდეგო ქმედების ზოგიერთი გამოხატულება (მაგ. შეხება სხეულის ინტიმურ ადგილებზე ან გენიტალების ჩვენება) შეიძლება ერთჯერადად მოხდეს და მსხვერპლში გამოიწვიოს საკმარისი შიში და ფსიქიკური სტრესი იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც სექსუალური შევიწროება.

ასევე საინტერესოა, რომ როგორც აკადემიურ სივრცეში, ისევე კანონმდებლობასა თუ საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ მიმართული კამპანიების უმეტესობაში (Bowman, 1993; Settles, Harrell, Buchanan and Yap, 2011), აუცილებელია, რომ ქმედებას ჩადიოდეს უცხო ადამიანი. ჩემი, როგორც გენდერის მკვლევარის აზრით, საქართველოს კონტექსტში ეს დათქმა არ იმუშავებს, რადგან სავსებით რეალურია, რომ სექსუალური შევიწროება შეიძლება განახორციელოს ადამიანმა, რომელსაც იცნობ. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე კარგი იქნება უფრო მიზანმიმართული კვლევის ჩატარება, რომელიც საქართველოს კონტექსტში სექსუალური შევიწროების ზემოთჩამოთვლილ იმ ასპექტებს გამოიკვლევს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია სექსუალური შევიწროების ქმედების კვალიფიკაციის და შემდგომი რეგულირებისათვის.

ბიბლიოგრაფია

Andriessen, I., Fernee, H., Wittebrood, K., Perceived Discrimination in the Netherlands, Netherlands Institute for Social Research, 2014

Clarke, L., Sexual Harassment Law in the United States, the United Kingdom and the European Union: Discriminatory Wrongs and Dignitary Harms, Common Law World Review, Vol.36, 2007

Fazlizadeh, T., Stop Telling Women to Smile, (a street art project addressing gender based street harassment). Retrieved on November 1, 2016 at http://tlynnfaz.com/Stop-Telling-Women-to-Smile, 2012

Kearl, H., Unsafe and Harassed in Public Spaces: A National Street Harassment Report., Reston, Virginia, 2014

ამაშუკელი, მ., ჯალაღანია, ლ., სექსუალური შევიწროება - ქალთა „უჩინარი"დისკრიმინაცია. ქალთა ფონდი საქართველოში, 2015

MCA-Georgia, Social and Gender Integration Plan, Millenium Challenge Account – Georgia, 2014

Bowman, C. G., Street Harassment and the Informal Ghettoization of Women, Harvard Law Review, Vol.1067 (3), 1993

Micaela di Leonardo, PoliticalEconomy of Street Harassment, AEGIS, 1981.

McDonald. P., Backstrom. S., Reporting Sexual Harassment: Claims and Remedies, Asia Pacific Journal of Human resources, Vol.46(2), 2008

Cooper, D., Being in Public: the Threat and Promise of Stranger Contact, Law & Social Inquiry 32(1), 2007

Gomes M. G., Owens M. Jm., Morgan F. J., Prohibiting Sexual Harassment in the European Union: An Unfinished Public Policy Agenda, Employee Relations, Vol. 26(3),2004

Numhausser-Henning, A., Laulom, S., Harrassment Related to Sex and Sexual Harassment Law in 33 European Countries: Discrimination versus Dignity, European Commission of Justice, 2012

Shanker, M., Astakhova M. N., DuBois C.L.Z., Sexual Harassment: A complex Adaptive System Viewpoint, Gender, Technology and Development, Vol. 19(3), 2015

Madan, M., Nalla, K.M., Sexual Harassment in Public Spaces: Examining Gender Differences in Perceived Seriousness and Victimization, International Criminal Justice Review, Vol. 26(2), 2016

Fairchild, K., Rudman, A.L., Everyday Stranger Harassment and Women''s Objectification, Social Justice Researcher, 2008

Blackstone, A., Uggen, C., McLaughlin, H., Legal Consciousness and Responses to Sexual Harassment, Law Social Review, Vol.43(3),2009

Flores, N.M., Street Harassment: Old Issue, Ongoing Struggle, New Movement, Huff-

ington Post, 2014

McDonald, P., Graham, T., Martin, B., Outrage Management in Cases of Sexual Harassment as Revealed in Judicial Decisions, Psychology of Women Quarterly, Vol.34, 2010

Settles, I.H., Harrell, Z.A.T., Buchanan, N.T., Yap, A.C.Y., Frightened or Bothered: Two Typed of Sexual Harassment Appraisals, Social Psychological and Personality Science, Vol. 2(6), 2011

Hagerty, T., Kearl, H., Mason, R., Ripplinger, W., Know Your Rights: Street Harassment and the Law, Stop Street Harassment, 2013

Thompson, D.M., The Woman in the Street: Reclaiming the Public Space from Sexual Harassment, Yale Journam of Law and Feminism, 1994

Reyes, N. Safe cities and Safe Public Spaces, UN Women, November, 2015

Fitzgerald, L.F., Drasgow, F. Hulin, C.L. Gelfand, M.J. and Magley, V.J. Antecedents and consequences of sexual harassment in organizations: A test of an integrated model. Journal of Applied Psychology 82(4), 1997.

ბენდელიანი, ნ., ტურკი, პ., ამაშუკელი, მ., ხეჩუაშვილი, ლ., გენდერული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე საქართველოში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2014

ვინტერი, ლ.ბ., პავლინი, პ., დასკვნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტზე 2016 წლის 11 თებერვლის მდგომარეობით, 2016.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 2016 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ („სტამბოლის კონვენცია") 2016 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით